N 167 08/08/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 13

დ. ჩოხატაური *26 ივლისი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, რამაზი უჯმაჯურიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე, გოჩა თოდრია, ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, მაია გიორგაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, კლოდი მდინარაძე, თამაზი დევიძე.

არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, გიორგი რამიშვილი, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე, დავით გუდავაძე, კობა კალანდაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე, რომანი ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

ნიკოლოზ დუმბაძე- გამგეობის სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის უფროსი.

მაია გოგოლაძე- გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

ლელა მდინარაძე- გამგეობის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ.

3. სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნუციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> აკაკი ყაშეიშვილმა, მარინე ბერაძემ, დიმიტრი კორიფაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. ჩოხატაურის მუნუციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, მამია ბარამიძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) განსაკუთრებულ გზების სიის დამტკიცების შესახებ.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მამია ბარამიძემ (ენმ) აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დატვირთვა არ ეხება ამ პროექტს? რა ჯდება დღიურად ცხოველის შენახვა?

მარინე ბერაძე- ფინანსურად არანაირ დატვირთვას არ იწვევს, დღიურად ჯდება 10 ლარი.

ირაკლი ახობაძე- აღნიშნული ინიცირება სხვა ნორმატიული აქტის ცვლილებას თუ იწვევს?

მარინე ბერაძემ უპასუხა: გამოიწვევს ცვლილებას მხოლოდ ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში და ა(ა)ი.პ კომუნალური სამსახური ,,სხივის" წესდებაში, აღნიშნულზე აღმასრულებელი ორგანო გაფრთხილებულია, წესდებაში ცვლილების შეტანას ჩვენი თანხმობა ჭირდება. ხოლო რაც შეეხება ზედამხედველობის სამსახურს, კონკრეტულად არ უდევს სამსახურს ეს ცვლილება და აისახება ამ სამსახურის დებულებაში.

ირაკლი ახობაძე- ჩვენი რეგლამენტის თანახმად, უნდა იყოს ნებისმიერი ცვლილება ასახული დებულებაში.

მარინე ბერაძე- ამ დოკუმენტის წარდგენას დიდი ხანი დასჭირდა და ისედაც დაგვიანებულია და ის, რომ მხოლოდ ფურცელზე არ ყოფილიყო ეს წარმოდგენილი, ამიტომ დააგვიანდა ამ დადგენილების მიღებას ამდენი დრო და შესაბამისად, ის, რაც თქვენ თქვით, ტექნიკური პროცედურის გამო ვერ გადაიდებოდა.

ირაკლი ახობაძემ შენიშნა პროექტის ავტორს, რომ ამ წესის მიღების გამო არ უნდა დარღვეულიყო რეგლამენტის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ.

III საკითხი: სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

მამია ბარამიძემ (ენმ) და აღნიშნა, რომ 8570 ლარს უხდის მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს საცხოვრებელის ქირაში, სახლის არ ქონის გამო. 2016 წლის მერე, ბიუჯეტში ცვლილება გაკეთდა 86, 0 ათას ლარზე, სადაც ერთ- ერთი მუხლი იყო დაუძლეველი, სტიქიური შედეგების დასაფინანსებლად სახლებისთვის თანხის გამოყოფა. მაინტერესებს, თუ 8600 ლარს ვიხდით საცხოვრებელი სახლის არ ქონის გამო, ხომ არაა შეცდომა მინიმუმ ის ცვლილება, რომელიც განხორციელდა მაშინ, როდესაც 45,0 ათასი ლარით იგივე მუხლიდან შეგვეძლო შეგვეძინა სახლი ან გაგვერემონტებინა.

ირაკლი ახობაძე- ნაწილობრივი ხარჯები ეკონომიკურ კატეგორიების მიხედვით გვაქვს წარმოდგენილი. კვარტლის მიხედვით არ გქონდათ აღწერა? როგორ შესრულდა კვარტლის მიხედვით ანგარიში და რამდენად მიზანმიმართულად მიდიხართ წინ? რამდენად იყო შესრულებული ესა თუ ის მუხლი კვარტლის მიხედვით. გვაინტერესებს ანალიზი.

ნიკოლოზ დუმბაძე- II კვარტლის გეგმის მიხედვით ვახორციელებთ ქმედებას.

ირაკლი ახობაძე- I კვარტლის გეგმა შეასრულეთ 50%-ით. გვაინტერესებს, II კვარტლის მიხედვით პროცენტულად რა თანხები გაქვთ დახარჯული.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოდერძი გოგიშვილმა, მაია გიორგაძემ, თემურ ხუხუნაიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის

31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად დარღვეულია თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, ასევე დარღვეულია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, თავი VIII, მუხლი 23-ეს პუნქტი. ესეიგი,თუ რაიმე შემოსავალი მოდის, გარკვეულ ჩარჩოებს უნდა ესადაგებოდეს.კანონის და კოდექსის დარღვევით წარმოდგენილ ბიუჯეტს ვერ მივიღებთ. გთხოვთ, დავაბრუნოთ ეს ბიუჯეტი უკან.

მაია გოგოლაძე- კანონის მოთხოვნები დარღვეული არ არის. ჩვენ ამ შემთხვევაში ვზრდით მხოლოდ სუბსიდიის მუხლს.

ირაკლი ახობაძე- მე მაქვს ხელთ 2016 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებელი. ა(ა)ი.პ. კურორტი ,,ბახმაროს“ საკასო შესრულება 2016 წელში იყო 109,0 ათასი ლარი.ახლა რამდენია?

104,0 ათასი ლარი გვაქვს ახლა, ანუ 10 %-ითაა შემცირებული? ა(ა)ი.პ. სამხატვრო სკოლის საკასო შესრულება იყო 105, 0 ათასი ლარი, ახლა არის ისევ იგივე. 10 %-ია დაკლებული?

ა(ა).ი.პ. კულტურის ცენტრი 397,0 ათასი ლარი, ახლა გაზრდილია. საბიბლიოთეკო გაერთიანების საკასო შესრულება იყო 139,0 ათასი ლარი და ახლა არის 140,0 ათასი ლარი, შემცირების მაგიერ არის გაზრდილი. სპორტის განვითარების ცენტრი 161 ათასი ლარია საკასო შესრულება და 160 ათას ლარს ვამტკიცებთ. თითქმის ყველა ა(ა)ი.პ.- ში საკასო შესრულება დარღვეულია და ამით კანონი არ ირღვევა? თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლი გვეუბნება, რომ არაფინანსურ აქტივებში უნდა წავიდეს ეს თანხა და ჩვენ მიგვაქვს სუბსიდირებაში. ასევე, ბიუროს სხდომაზე თქვენ წარმოადგინეთ 6 თვის ანგარიში, სადაც ნახევარი მილიონზე მეტია შემოსული შემოსავლებში ქონების გადასახადიდან და არ არის ასახული წარმოდგენილ დოკუმენტში ეს ცვლილება.

მალხაზ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ 2016 წელში საკრებულომ მიიღო 2 დადგენილება, ამ 2 დადგენილების შესასრულებლად ბიუჯეტში თანხა იყო გამოყოფილი, მაგრამ არაფერი არ შესრულებულა. ვგულისხმობ: ბაზარი- გუთურის ხიდთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ბიუჯეტში თანხა არ არის გათვალისწინებული. ასევე, გზების ინვენტარიზაციისათვის საჭირო თანხები არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში. ეს შენიშვნები გასათვალისწინებელია, სხვა შემთხვევაში ასეთი სახით ამ დოკუმენტს მხარს ვერ დავუჭერ.

გოდერძი გოგიშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია, ჩაშლილი ვარიანტი წარმოგვიდგინოთ, კონკრეტულად თუ რაში დაიხარჯა ეს თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 24

წინააღმდეგი _1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნუციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნუციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

მამია ბარამიძემ (ენმ) სვამს კითხვას, თუ რა დაჯდება ამ სტრატეგიის განვითარება და აქვს თუ არა ადგილობრივ ბიუჯეტს ამის საშუალება.

ლელა მდინარაძემ უპასუხა: ფინანსებს რაც შეეხება გაწერილია დოკუმენტში. სულ გაკეთებულია ანალიზი 2015-2016 წლის მონაცემებით. ამ წლებში სულ ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 232, 300 ლარი, აქედან კონკრეტული მუხლი ნარჩენების მართვისთვის არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში.

მამია ბარამიძე (ენმ)- ჩვენ ვიღებთ სტრატეგიას და არ გვაქვს ანალიზი რა დაჯდება ეს სტრატეგია, რაღაც უცნაურობასთან გვაქვს საქმე.

ზაალ მამალაძე- არის ანალიზი, ვიმუშავებთ კიდეც ამ საკითხზე. გადამამუშავებელი ქარხანა კეთდება მერიაში. დახარისხება სადაც მოხდება, ის შენობა აშენდება ჩოხატაურში. ის ნაგავსაყრელი რაც ახლა გვაქვს, უნდა დაიხუროს, ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. 2020 წლისთვის უკვე ჩვენთან ნაგავსაყრელი აღარ იქნება, იქნება

სადგური, სადაც მოხდება ნარჩენების დახარისხება. შემდეგ ვალდებულებას აიღებს ტენდერზე გამარჯვებული კომპანია და არა დასუფთავების სამსახური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღარ მოხდება თანხის დახარჯვა.

მამია ბარამიძე (ენმ)- იდეა არის ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ის ა(ა)ი.პი, რომელიც გვიწევს ამჟამად მომსახურებას, არ არის მნიშვნელოვანი და არ ყოფილა საჭირო.

ლელა მდინარაძე- საჭირო არის მაგრამ სტრატეგია რასაც გვეუბნება ვაკეთებთ იმას.

მამია ბარამიძე (ენმ) - ე.ი. 2020 წლისთვის ა(ა)ი.პ კომუნალური სამსახური ,,სხივი", რომლის ერთ-ერთი ფუნქცია დასუფთავებაა, თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ არ არის მნიშვნელოვანი და საჭირო არ ყოფილა თურმე და ჩოხატაურის დასუფთავების ვალდებულებას აიღებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

ზაალ მამალაძე- ამ ეტაპისთვის სხვა სტრუქტურა, სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ მომსახურების გარეშე ვერ დავტოვებთ ვერც დაბის ტერიტორიას, ვერც მიმდებარე სოფლებს, ვერც ბახმაროს ტერიტორიას. ნაწილობრივ მოხდება მომსახურება.

მამია ბარამიძე (ენმ)- იდეა ნამდვილად კარგია, მაგრამ რატომ ველოდებით 2020 წელს, ხომ შეიძლება ახლავე მომზადდეს სატენდერო წინადადებები და გამარჯვებულმა დროულად მოაწყოს ნაგავსაყრელი. თუ იმას ფიქრობთ, რომ მომსახურება წამგებიანია, მაშინ რატომ ვღებულობდით დადებით დასკვნებს ,,სხივთან" დაკავშირებით.

ამ ეტაპზე ჩვენ ვეუბნებით კომუნალურ სამსახურ ,,სხივს", რომ თქვენ გაძლევთ დავალებას, ამოიღოთ ფიზიკური და იურიდიული პირებიდან გადასახადი. მორიგი თემა ეხება მყარ ნარჩენებს. სტრატეგიის შემუშავების შემდეგ 2020 წელში ვეუბნებით ვიღაცას, რომ მე ტენდერზე დავდებ ჩოხატაურის დასუფთავების შესყიდვას, ეს ერთი და იგივეა მყარ ნარჩენებთან მიმართებაშიც. თუ ეს გეგმა ვარგა 2022 წლამდე რაც გვაქვს ახლა კომუნალურ სამსახურ ,,სხივთან" მიმართებაში, მაშინ წარმოდგენილი რაღად გვინდა, რაც 2022 წელში უნდა მივიღოთ. თუ ეს ფორმა არ ვარგა და გეგმა 2022-ში უნდა განხორციელდეს, მაშინ რატომ ვაძლევთ ,,სხივს" დავალებას, რომ ამოიღოს 35, 0 ათასი ლარი. თუ ეს პროექტი, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ,

2022 წელში არის უკეთესი ვიდრე 35, 0 ათასი ლარის ამოღება, მაშინ რატომ ველოდებით ამ დროს და რატომ მანამდე არ ვაკეთებთ.

ზაალ მამალაძე- წარმოდგენილ დოკუმენტს არანაირი კავშირი არ აქვს მომავალ წელს ტენდერს გამოვაცხადებთ თუ დავავალებთ ა(ა).ი.პ კომუნალურ სამსახურ ,,სხივს“ ამის გაკეთებას.

მამია ბარამიძე (ენმ)- ამ იდეის წინააღმდეგი არ ვარ,რეალურად რაც უნდა გაკეთდეს ის კეთდება, მაგრამ სამუშაო ვარიანტი არ არის დამუშავებული და გამომდინარე აქედან, ამ გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი ვარ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 24

წინააღმდეგი _ 1 (მ. ბარამიძე (ენმ))

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნუციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15 ივნისს მან წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს და ითხოვა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავებისთვის მოთითოებული ღარიანი თუნუქის 2900 კვ.მ) შესყიდვასთან დაკავშირებით, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის აქტის წარდგენა.

აქტის საფუძველზე ირკვევა, რომ დახმარება გაეწია 154 ოჯახს. სახელობით სიაში კი 65-ით მეტი- 222 ოჯახია დაფიქსირებული.

მაინტერესებს, როგორ მოხდა ეს, როცა შესყიდვა განხორციელებულია, სტიქიის თანხა გაწერილია აქტის შესაბამისად და სახელობით სიაში მეტი ადამიანია. მაგალითისთვის,

დაბაში 10 სახლი დაზიანდა , ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტში 22 სახლია დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა